



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4924341001

თარიღი:06/12/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

მაია ბერაძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **მაია ბერაძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2024 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 15 სამუშაო დღე, 2024 წლის 9 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით.
2. არმყოფი მოხელის ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გელა თათარაშვილს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და გელა თათარაშვილისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის გაცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

